

განმარტებითი ზარათი
საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს საჰაერო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის მიღებას განაპირობებს ის, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის სამოქალაქო ავიაციის დარგში ფუნქციები არ არის მკვეთრად გამიჯნული და ხშირად ხდება უფლებამოსილებათა აღრევა. კერძოდ, ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია წარმოადგენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას, თუმცა, სამოქალაქო ავიაციის დარგში პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია სამოქალაქო ავიაციის დარგში პოლიტიკა მთლიანად ერთი სტრუქტურის, კერძოდ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მმართველობის სფერო გახდეს.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტის მიხედვით, სამოქალაქო ავიაციის დარგში საავიაციო დარგში სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. ამასთანავე, მოქმედი კანონის რედაქციისგან განსხვავებით, სამინისტროს მმართველობის სფეროში იქნება არა ზოგადად, ავიაცია, არამედ, სამოქალაქო ავიაცია, ვინაიდან, სამხედრო ავიაცია წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ იწვევს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები
კანონპროექტი არ არის დაკავშირებული სახელმწიფოს მიერ ახალ ფინანსურ ვალდებულებებთან.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება
კანონპროექტი არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.